

2 ოქტომბერი 2018 წელი
ხაშური

სხდომის თავმჯდომარე- საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ზურაბ ნოხაძე, გიორგი ბერაია, ლევან გამრეკელი, დავით გარადინსკი, ირინე გელაშვილი, დავით გელაშვილი, ელგუჯა გოგალაძე, ირინე გრიგალაშვილი, მიხეილ კაპანაძე, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე, ლაშა ლუსმანაშვილი, გურამ მაზიაშვილი, მაყვალა მაისურაძე, დავით მეტრეველი, იმედა მეტრეველი, ემზარ მურჯიკნელი, ცოტნე ნოზაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, ზვიად ტეფნაძე, აკაკი ჩიტაძე, მერაბ ცხოვრებაძე, მამუკა წიქარიშვილი, ანა ხარებავა, ვაჟა ხარშილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: იურიდიული სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნატო ხრიკული; განათლების, კულტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ხათუნა ელისაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება საბავშვო-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი დავით ნოზაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი მიესალმა საკრებულოს წევრებს. მან საკრებულოს რიგით 21-ე სხდომა გახსნილად გამოაცხადა 15:00 საათზე და მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - საკრებულოს 31 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 26 წევრმა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს წევრებს მოუწოდა, სხდომის მიმდინარეობისას, რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმებისა და წესრიგის დაცვისაკენ. შემდეგ საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციები, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ
2. ხაშურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტებს დამტკიცების შესახებ
3. ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ
4. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე
5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობის შემდეგ დღის წესრიგის პროექტს კენჭი უყარა:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - არცერთი

(დანართი თან ერთვის)

მოისმინეს:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციები, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ხათუნა ელისაშვილი

განათლების, კულტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტის ხათუნა ელისაშვილის ინფორმაციით, ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების (შემდგომში – დაწესებულება) პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების მიზანია როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების განსაზღვრა, დაწესებულების მიერ ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

აზრი გამოთქვას: ირინე გელაშვილმა, ანა ხარებავამ, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)

2. ხაშურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტებს დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ხათუნა ელისაშვილი

განათლების, კულტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტის ხათუნა ელისაშვილის ინფორმაციით, პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის შემადგენლობის და მათი პროფესიული სტანდარტების დამტკიცება.

აზრი გამოთქვას: ანა ხარებავამ, ირინე გელაშვილმა, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)

3. ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ხათუნა ელისაშვილი

განათლების, კულტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტის ხათუნა ელისაშვილის ინფორმაციით, სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულებების შიდა მონიტორინგის და შეფასების სისტემა განსაზღვრავს სკოლამდელი განათლების ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების (შემდგომში - მომსახურება) და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების პრინციპებს, ამოცანებს და პროცედურებს. პროექტის მიხედვით ხდება დაწესებულების მიერ შიდა მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება, რათა მოხდეს დროული და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაწესებულების მომსახურების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით

აზრი გამოთქვას: ირინე გელაშვილმა, ანა ხარებავამ, მიხეილ ჯანაშვილმა.

*ხმათა უმრავლესობით დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება ოქმს თან ერთვის)
(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)*

4. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი
თანამომხსენებელი - ნატო ხრიკული

იურიდიული სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ნატო ხრიკულის ინფორმაციით, აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება გამოწვეულია, სამსახურის დებულების მოქმედ კანონმდებლობასთან და მერიის დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

აზრი გამოთქვას: ანა ხარებავამ, ვაჟა ხარშილაძემ, მიხეილ ჯანაშვილმა.

*ხმათა უმრავლესობით დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება ოქმს თან ერთვის)
(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)*

5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ხათუნა ელისაშვილი

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ხათუნა ელისაშვილის ინფორმაციით პროექტის მიღების მიზნებს წარმოადგენს, სამბოში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე სპორტსმენებისათვის სპორტული ჩოხების შეძენის მიზნით, საჭიროა სპორტულ ღონისძიებათა პროგრამაში მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ პროგრამის #1 დანართში – „სპორტულ ღონისძიებათა პროგრამის“ ”სამბოს ტურნირების“ მუხლიდან 900 ლარი გადავიდეს სპორტული წრეების ფუნქციონირებისათვის და სპორტული ღონისძიებების ჩატარებისათვის საჭირო ინვენტარის ”სამბოში ჩოხების“ შეძენის მუხლში.

აზრი გამოთქვას: ირინე გელაშვილმა, ანა ხარებავამ, მიხეილ ჯანაშვილმა.

*ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება ოქმს თან ერთვის)
(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)*

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი